

BMJ Best Practice

ბრონქიოლიტი

უშუალოდ პაციენტის მოვლის ადგილას



სარჩევი

მიმოხილვა	3
შეჯამება	3
განსაზღვრება	3
თეორია	4
ეპიდემიოლოგია	4
ეტიოლოგია	4
პათოფიზიოლოგია	5
კლასიფიკაცია	6
შემთხვევის ანამნეზი	6
დიაგნოზი	7
მიდგომა	7
ანამნეზი და გასინჯვა	9
რისკფაქტორები	10
კვლევები	12
დიფერენციული დიაგნოზები	15
კრიტერიუმები	16
მართვა	17
მიდგომა	17
მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა	21
მკურნალობის ალგორითმი	23
სიახლეები	29
პირველადი პრევენცია	30
მეორეული პრევენცია	31
განხილვები პაციენტთან	31
მეთვალყურეობა	32
მონიტორინგი	32
გართულებები	32
პროგნოზი	32
გაიდლაინები	33
დიაგნოსტიკური გაიდლაინები	33
მკურნალობის გაიდლაინები	33
მტკიცებულების ცხრილები	35
წყაროები	37
განმარტება	50

შეჯამება

ბრონქოლოგია არის ჰოსპიტალიზაციის წამყვანი მიზეზი 1 წლამდე ასაკის ბავშვებში.

რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი (RSV) ყველაზე ხშირი ეტიოლოგიური აგენტია.

შემთხვევების უმეტესობა მსუბუქი მიმდინარეობისაა და თვითგანკურნებადია, საჭიროებს მხოლოდ ზოგად მოვლას.

ხველა შეიძლება კვირების განმავლობაში გაგრძელდეს, მწვავე დაავადებიდან 10-14 დღის განმავლობაში. ზოგიერთ პაციენტს შეიძლება დარჩეს მსტვინავი ხიხინი.

განსაზღვრება

ვირუსული ბრონქოლოგია ქვედა რესპირატორული ტრაქტის მწვავე ვირუსული ინფექციაა. მართალია, ის შეიძლება განუვითარდეს ყველა ასაკის პირს, უმეტესად ტერმინი ჩვილების ინფექციასთან მიმართებაში გამოიყენება. მას ეპითელიური უჯრედების დესტრუქცია, უჯრედული შეშუპება და ანთებითი ნარჩენებითა და ლორწოთი სასუნთქი გზების ობსტრუქცია ახასიათებს. კლინიკურ გამოვლინებებია ხველა, მსტვინავი სუნთქვა და სუნთქვის გაძნელება. შემთხვევათა უმრავლესობაში გამომწვევი არის რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი (RSV), თუმცა დაავადების მიზეზი ასევე შეიძლება გახდეს რინოვირუსი, ადამიანის მეტაპნეუმოვირუსი, ბოკავირუსი, გრიპი, პარაგრიპი და ადენოვირუსი.

ეპიდემიოლოგია

ბრონქოლიტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მწვავე დაავადებაა ჩვილ ბავშვთა შორის და ამ ასაკობრივ ჯგუფში ჰოსპიტალიზაციის წამყვან მიზეზს წარმოადგენს. [3] [4] [5]

2015 წელს, რესპირატორულ-სინციტიური ვირუსის (RSV) ქვედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექციის დაახლოებით 33,1 მილიონი ეპიზოდი დასრულდა დაახლოებით 3,2 მილიონი ჰოსპიტალიზაციით და 59 000 ჰოსპიტალური სიკვდილით 5 წლამდე ბავშვებში. [6] 6 თვემდე ასაკის ბავშვებში, რესპირატორულ-სინციტიური ვირუსით გამოწვეული ქვედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექციის შედეგად დაფიქსირდა 1.4 მილიონი ჰოსპიტალიზაცია და 27,300 სიკვდილი კლინიკაში. [6]

ბრონქოლიტების ინციდენტობას ახასიათებს მკაფიო სეზონურობა, აშშ-ში შემთხვევების უმრავლესობა ნოემბრიდან აპრილამდე ვლინდება. [7] ინციდენტობის პიკი ჩვეულებრივ იანვარსა ან თებერვალზე მოდის. სამხრეთ-აღმოსავლეთით ინფექციის დასაწყისი და პიკი შედარებით ადრე დგება. მსგავსი, შუა ზამთარში ეპიდემიის აღმოცენების, ყოველწლიური ტენდენცია სხვა ტემპერატურულ სარტყლებშიც ვლინდება. შედარებისთვის, პარაგრამ-1 ინფექციას (ინფევს კრუპს) ინციდენტობის მატების ორწლიანი პერიოდულობა ახასიათებს.

ბრონქოლიტი თითქმის ექსკლუზიურად ჩვილებისთვის არის დამახასიათებელი, 3 წლის ასაკისთვის თითქმის ყველა ბავშვთან შეგვიძლია ვნახოთ სეროლოგიური დადასტურება იმისა, რომ ის RSV-ით იყო ინფიცირებული. RSV-ით პირველი ინფიცირება არ იძლევა დამცველობით იმუნიტეტს, ამიტომ ხშირია განმეორებითი ინფექციები. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების უმრავლესობაში დაავადება მსუბუქად მიმდინარეობს და თვითგანკურნებადია, შეიძლება განვითარდეს მძიმე ფორმაც, განსაკუთრებით 6 თვის ასაკამდე პაციენტებში. [6] ბავშვებს რომელთაც ფონურად აღენიშნებათ მძიმე დაავადების რისკ ფაქტორები, როგორიცაა დღენაკულობა, თანდაყოლილი გულის ან ფილტვის ქრონიკული დაავადებები, მეტი რისკი აქვთ, რომ ჰოსპიტალიზდნენ, თუმცა ჰოსპიტალიზირებულთა უმეტესობას წარმოადგენენ ბავშვები ფონური რისკ ფაქტორების გარეშე. [3]

ბრონქოლიტის მწვავე ეფექტებთან ერთად, კვლევებმა აჩვენა, რომ რესპირატორულ-სინციტიური ვირუსით გამოწვეული ბრონქოლიტის მქონე ჩვილების დიდ ნაწილს განმეორებით უვითარდება მსტენიავი სუნთქვა; რინოვირუსი სულ უფრო მეტად არის შესწავლილი და აღმოჩნდა, რომ მას აქვს კავშირი მორეციდივე მსტენიავ სუნთქვასთან და ასთმის დიაგნოზთან. [8] [9] [10] [11] [12] რისკ-ფაქტორები, როგორიცაა ასთმის ოჯახური ანამნეზი, ზრდის მომავალში ასთმის დიაგნოზის რისკს. [9] [13]

ეტიოლოგია

ყველაზე ხშირი გამომწვევი მიზეზია რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი. ბრონქოლიტის მქონე 2 წლამდე ასაკის ბავშვებში რესპირატორული ვირუსების შემსწავლელი კვლევების ერთ-ერთი მეტა-ანალიზის თანახმად დადასტურდა, რომ რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი დომინირებს (59.2%, 95% სარწმუნოების ინტერვალი 54.7-63.6), ხოლო რინოვირუსი მეორე ყველაზე გავრცელებული გამომწვევეა (19.3%, 95% სარწმუნოების ინტერვალი 16.7 - 22.0). ადამიანის ბოკავირუსი შეადგენს შემთხვევათა 8.2%-ს (95% სარწმუნოების ინტერვალი 5.7 - 11.2), ადენოვირუსი 6.1%-ს (95% სარწმუნოების ინტერვალი 4.4 - 8.0), ადამიანის მეტაპნევმოვირუსი 5.4%-ს (95% სარწმუნოების ინტერვალი 4.4-6.4), პარაგრამის ვირუსი 5.4%-ს (95% სარწმუნოების ინტერვალი 3.8 - 7.3), გრიპის ვირუსი 3.2%-ს (95% სარწმუნოების ინტერვალი 2.2 - 4.3), კორონავირუსი 2.9%-ს (95% სარწმუნოების ინტერვალი 2.0-4.0), ხოლო ენტეროვირუსი 2.9%-ს (95% სარწმუნოების ინტერვალი 1.6 - 4.5). როდესაც მცირეწლოვან ბავშვს უვლინდება რამოდენიმე ვირუსი, რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი ყველაზე ხშირია რინოვირუსთან ან ადამიანის ბოკავირუსთან ერთად. [14]

RSV და სხვა რესპირატორული ვირუსებით გამოწვეული ბრონქოლოგია იწყება როგორც ზედა სასუნთქი სისტემის ინფექცია და შემდეგ, 1-3 დღის განმავლობაში, ვრცელდება ქვედა სასუნთქი ტრაქტისკენ.

თითქმის ყველა ბავშვს 3 წლის ასაკამდე შეხება აქვთ RSV ინფექციასთან, მაგრამ მათგან მხოლოდ მცირე ნაწილს უვითარდება ბრონქოლოგია. ეს დაკვირვება გახდა ვარაუდის საფუძველი, რომ მასპინძლისა და შესაძლოა გარემოს ფაქტორები იღებენ მონაწილეობას დაავადების პათოგენეზში.[15] დაბადების შემდგომმა კოჰორტულმა კვლევებმა (Birth cohort studies) აჩვენა, რომ დაბადებისას ფილტვების შესუსტებული ფუნქცია რისკფაქტორს წარმოადგენს ადრეული ბავშვობის განმავლობაში მსტვინავი სუნთქვის განვითარებისთვის, თუმცა ეს მექანიზმი სრულად არ ხსნის რესპირატორულ-სინციტიური ვირუსის კლინიკური სურათის მრავალფეროვნებას.[16] [17]

გარემოში თამბაქოს კვამლის ზემოქმედებამ შეიძლება იქონიოს გავლენა დაავადების სიმძიმეზე.[18] [19] [20] ანალოგიურად, გარემოს დამაბინძურებლები დაკავშირებულია რესპირატორულ-სინციტიური ვირუსის უფრო მძიმე ფორმასთან. დრო-სერიების კვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარდა ჩრდილო-დასავლეთ იტალიაში, გამოვლინდა კავშირი 10-მიკრონიანი აროგენული ნაწილაკების ნივთიერების კონცენტრაციასა და რესპირატორულ-სინციტიური ვირუსით 1 წლამდე ასაკის ჩვილების ჰოსპიტალიზაციის სიხშირეს შორის; 10-მიკრონიანი აროგენული ნაწილაკების კონცენტრაცია ჰოსპიტალიზაციამდე 2 კვირის ფარგლებში მჭიდროდ დაკავშირებულია რესპირატორულ-სინციტიური ვირუსით ჰოსპიტალიზაციის მომატებულ რისკთან.[21] ავტორები ვარაუდობდნენ, რომ გარემო ფაქტორები, როგორებიცაა მაგ. ჰაერის დაბინძურება, შესაძლოა მოქმედებს ჩვილის იმუნურ სისტემაზე, რაც ზღუდავს პასუხს ვირუსული ავადმყოფობის მიმართ.

ყურადღება ექცევა ასევე, მასპინძლის იმუნური პასუხის მნიშვნელობას RSV ინფექციის გამოვლინებაში.

პათოფიზიოლოგია

ვირუსი შეიჭრება მცირე სასუნთქი გზების ეპითელიურ ჯრედებში და იწვევს ნეკროზს, ანთებას, შეშუპებასა და ლორწოს სეკრეციას. ნეიტროფილები წარმოადგენენ წამყვან ანთებით უჯრედებს, რომლებიც იჭრებიან სასუნთქ გზებში მძიმე რესპირატორულ-სინციტიური ვირუსით დაავადების დროს. თავის მხრივ, უჯრედის დესტრუქციისა და ანთებითი პროცესების კომბინაცია მცირე სასუნთქი გზების ობსტრუქციას განაპირობებს. ფიზიოლოგიური და კლინიკური შედეგი მოიცავს ჰიპერაერაციას, ატელექტაზებს და მსტვინავ სუნთქვას. მძიმე შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს ინტერსტიციული ანთება და ალვეოლური ინფილტრაცია. ეპითელიური შრის აღდგენა იწყება ინფექციის გადატანიდან დაახლოებით 2 კვირის შემდეგ, სრულ გამოჯანმრთელებას კი 4-8 კვირა სჭირდება.

ადრეული კვლევების მიხედვით, რესპირატორულ-სინციტიური ვირუსული (RSV) ინფექცია ასოცირდებოდა მედიატორებთან, რომლებსაც ჩვეულებრივ მე-2 ტიპის T-ჰელპერები (TH2 უჯრედები) გამოიმუშავებენ.[22] [23] [24] [25] თუმცა, შემდგომმა კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ რესპირატორულ-სინციტიური ვირუსის სიმძიმე და მსტვინავი სუნთქვის ალბათობა ნებისმიერი რესპირატორული ვირუსის ინფექციის დროს, სავარაუდოდ, ასახავს ჩვილის უჯრედული და ადაპტაციური იმუნური პასუხის ცვლილებებს ინფექციის მიმართ.[26] [27] [28] [29] [30] გარდა ამისა, RSV-მა შეიძლება დათრგუნოს ფილტვის ანთოქსიდანტური სისტემა და ხელი შეუწყოს რეაქტიული ჟანგბადის გამოუმუშავებას და შესაბამისად გაზარდოს ფილტვის ოქსიდაციური დაზიანება.[31]

არა-RSV ინფექციით, ისეთი როგარიცაა მაგ. რინოვირუსი, გამოწვეული მსტვინავი სუნთქვა (ვიზინგი) შეიძლება ასთმის ადრეული ნიშანი გახდეს, რადგან ასეთ ბავშვებს უფრო დიდი ალბათობა აქვთ რომ მოგვიანებით კვლავ გაუმეორდეთ მსტვინავი სუნთქვის (ვიზინგი) ეპიზოდები.[9]

კლასიფიკაცია

ბრონქიოლიტის კლინიკური დაყოფა

რესპირატორულ-სინციტიურ ვირუსული (RSV) ბრონქიოლიტი

- ვირუსული ბრონქიოლიტი გამოწვეული RSV-ით

არა- RSV ბრონქიოლიტი

- ვირუსული ბრონქიოლიტის შემთხვევები, სადაც RSV არ იყო აღმოჩენილი

შემთხვევის ანამნეზი

შემთხვევის ანამნეზი #1

იანვარში 10 კვირის ბიჭი მიიყვანეს ოჯახის ექიმთან გასინჯვაზე, რადგან დედის გადმოცემით მას გაძნელებული სუნთქვა აღენიშნებოდა. ორსულობა და მშობიარობა გაურთულებლად მიმდინარეობდა. დედა მოიხმარდა თამბაქოს ორსულობის პერიოდშიც და ახლაც აგრძელებდა მოწევას. ასთმის ან ალერგიის ოჯახური ანამნეზი არ აღინიშნება. კონსულტაციამდე 3 დღით ადრე ბავშვს დაეწყო რინიტი და ტაქტილური ცხელება. შემდგომი დღეების განმავლობაში განვითარდა მზარდი ხველა და სუნთქვის გაძნელება. პაციენტმა შეამცირა საკვებისა და სითხის მიღება. გასინჯვისას ტემპერატურა არის 38.0°C (100.4°F), სუნთქვის სიხშირე 42 ჩასუნთქვა წუთში და პულსოქსიმეტრით ოქსიჰემოგლობინის სატურაცია 93%-ია ოთახის ჰაერით სუნთქვის დროს. ბავშვს აღენიშნებოდა სველი ხველა. გულმკერდის შემოწმებით გამოხატულია ნეკნთაშორისი და ნეკნქვეშა რეტრაქცია, ორმხრივად გაფანტული სველი ხიხინი და ამოსუნთქვისას მსტვინავი სუნთქვა.

სხვა გამოვლინებები

ბრონქიოლიტის მქონე ჩვილებს შეიძლება განუვითარდეთ აპნოე. რიგ შემთხვევებში აპნოე შეიძლება დაავადების ერთადერთი გამოვლინება იყოს და როგორც ამბობენ, გვხვდება 1.6%-დან 4%-მდე ჰოსპიტალიზებულ ჩვილებში. აპნოეს განვითარების რისკ ფაქტორები მოიცავს 1 თვემდე ასაკს დროულად დაბადებულ ჩვილებში, პოსტ-კონცეპტუალურ 8 კვირამდე ასაკს დღენაკლულ ჩვილებში და აპნოეს წინა ეპიზოდს ანამნეზში.^{[1] [2]} რესპირატორულ-სინციტიურმა ვირუსულმა (RSV) ინფექციამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს კრუპი. მძიმე RSV ინფექციის დროს დაფიქსირებულია გულყრის და გულის არითმიის შემთხვევები.

მიდგომა

ტიპურად დიაგნოზი კლინიკურია: ხველა, ტაქიპნოე, რეტრაქცია და მსტვინავი ხიხინი ხშირი კლინიკური ნიშნებია. სხვა სიმპტომებია რინიტი, ცხელება, ცვალებადი კლინიკური მიმდინარეობა და აპნოე.[42]

სადიაგნოსტიკო კვლევები ძირითადად გამოიყენება კლინიკური სურათის მიხედვით დასმული დიაგნოზის დასადასტურებლად ან დაავადების სხვა მიზეზების გამოსარიცხად.

კლინიკური გამოვლინება

ბრონქოლოგია ძირითადად მცირე ასაკის ბავშვებისთვის არის დამახასიათებელი და იშვიათად გვხვდება 3 წლის ასაკის შემდეგ. უმეტესად მას რამდენიმე დღით წინ უსწრებს ზედა სასუნთქი ტრაქტის სიმპტომატიკა, ისეთი როგორიცაა მაგ. რინიტი და ხველა. ცხელება დამახასიათებელია, თუმცა უმეტესად დაბალი ან საშუალო ინტენსიობის ($<40^{\circ}\text{C}$ [$<104^{\circ}\text{F}$]).[48] ხველა თანდათანობით მატულობს და შეიძლება მიიღოს სველი ხასიათი ან ჩამოყალიბდეს კრუპი. მოგვიანებით ვლინდება ქვედა რესპირატორული ტრაქტის სიმპტომები, მათ შორის რეტრაქცია, მსტვინავი და გაძნელებული სუნთქვა. ამასთან, შეიძლება გამოვლინდეს ისეთი ზოგადი სიმპტომებიც, როგორიცაა საერთო სისუსტე, გაღიზიანებადობა და მადის დაქვეითება.

გასინჯვა

ჩვეულებრივ გამოავლენს ტაქიპნოეს, რეტრაქციას, მსტვინავ სუნთქვას, სველ ხიხინსა და ხანდახან თორაკოაბდომინალურ ასინქრონიას. ყველა ბავშვს არ უვლინდება მსტვინავი სუნთქვა ან ხიხინი. ზოგიერთი კლინიკური გაიდლაინით, გასინჯვით მიღებული ეს მონაცემები არ არის დიაგნოზის დასმის აუცილებელი პირობა.[42]

ბრონქოლოგიისთვის დამახასიათებელია კლინიკური ნიშნების გამოვლენის მერყეობა, ხშირად დროის მცირე მონაკვეთში.[49] ზოგიერთ ჩვილს რესპირატორულ-სინციტიური ვირუსული (RSV) ბრონქოლოგიით უვითარდება აპნოე.[1] დაავადების მძიმე მიმდინარეობის დროს შეიძლება განვითარდეს ჰიპოქსემია და მკვეთრად გაძნელებული სუნთქვა.

კვლევები

უმრავლეს შემთხვევაში ინფექციის დიაგნოსტიკა შესაძლებელია კლინიკურად და დიაგნოსტიკური კვლევები საჭირო არ არის. მიუხედავად ამისა, დიაგნოსტიკური ტესტების არასწორად გამოყენება პრევალენტური იყო მწვავე ბრონქოლოგიის დიაგნოზის მქონე ჰოსპიტალიზებულ ჩვილებში; ერთი ერთცენტრიანი კვლევით დადგინდა, რომ ატოპიური დერმატიტის პირადი ანამნეზი, ჰოსპიტალიზაციის უფრო ხანგრძლივი ვადა და სახლში და-ძმების რაოდენობა არასათანადო დიაგნოსტიკური ტესტებისა და მკურნალობის დამოუკიდებელ საპროგნოზო ფაქტორებს წარმოადგენს.[50]

პულსოქსიმეტრიით

პულს-ოქსიმეტრია მარტივი, არინვაზიური მეთოდია ჰიპოქსემიის შესაფასებლად და მისი გამოყენება მიზანშეწონილია მსუბუქზე მეტად გამოხატული სიმპტომატიკის მქონე ბავშვებში, როცა განიხილება ჰოსპიტალიზაციის საკითხი.[51] მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა გაიდლაინში არ არის კონსენსუსი, მათი უმრავლესობა რეკომენდაციას უწევს პულსოქსიმეტრის წყვეტილ და არა მუდმივ გამოყენებას.[52] ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში, რომელთაც არ აღენიშნებოდა ჰიპოქსემია, პულს-ოქსიმეტრის წყვეტილად გამოყენება, მუდმივ მონიტორინგთან შედარებით, არ ცვლის მკურნალობის ესკალაციის და ოქსიგენოთერაპიის ხანგრძლივობის მაჩვენებლებს.[53]

სხვადასხვა გაიდლაინით რეკომენდებულია ყველაზე დაბალი, დასაშვები ოქსიჰემოგლობინის სატურაციის განსხვავებული ლიმიტები. ამერიკის პედიატრიის აკადემიის რეკომენდაციით, ჰიპოქსემიურ

ბავშვებს დამატებითი უანგბადი ისე უნდა მიეცეთ, რომ ოქსიჰემოგლობინის სატურაცია (პერიფერიული უანგბადის სატურაცია, SpO₂) შენარჩუნებული იყოს სულ მცირე 90%-იან მაჩვენებელზე, რომელზეც O₂-ის პარციალური წნევის მცირე დაწევაც კი ასოცირდება SpO₂-ის მკვეთრ ცვლილებებთან.[42] [54]

ერთ-ერთი რანდომიზებული კონტროლირებული კვლევის თანახმად, SpO₂-ის სამიზნე მაჩვენებლად 90%-ის დადგენა იყო ისეთივე უსაფრთხო და ეფექტური, როგორც 94%-იანი სამიზნე მაჩვენებელი ვირუსული ბრონქოლიტით ჰოსპიტალიზებულ ჩვილებში. მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლენილა ორ ჯგუფს შორის სიმპტომების კუპირების დროის, ადექვატური კვების განახლების, რეჰოსპიტალიზაციის ან არასასურველი მოვლენების კუთხით. SpO₂-ის სამიზნე მაჩვენებლად 90%-ის შემთხვევაში ჩვილებს სჭირდებოდათ დამატებითი უანგბადის უფრო ხანმოკლე კურსი და ექვემდებარებოდნენ უფრო დროულ განვრცადს.[55]

არ ჩატარებულა ნერვული სისტემის განვითარების რაიმე გრძელვადიანი კვლევა, რომელიც შეადარებდა SpO₂-ს უფრო დაბალ და უფრო მაღალ (>94%) სამიზნე მაჩვენებლებს. ცხელებამ და აციდოზმა შესაძლებელია ოქსიჰემოგლობინის დესატურაციის მრუდი გადახაროს მარჯვნივ, ამიტომ ამ მდგომარეობების დროს მიზანშეწონილია SpO₂-ის სამიზნე მაჩვენებლის გაზრდა, მაგ. ზოგიერთი გაიდლაინების მიხედვით >92%-მდე.[56] [57]

სუნთქვის დაქვეითებული ფუნქციის სხვა ნიშნები, როგორიცაა სუნთქვის გაძნელება ან რეტრაქციები, ის ფაქტორებია, რომლებიც გასათვალისწინებელია დამატებითი უანგბადის მიწოდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

გულის ან ფილტვის ფონური დაავადების მქონე ჩვილებს შეიძლება ოქსიგენაციის საბაზისო პათოლოგია აღენიშნებოდეთ. ამ პაციენტებში დამატებითი O₂-ის გამოყენების ზღურბლი შეიძლება უფრო მაღალი იყოს.

რესპირატორულ-სინციტიურ ვირუსზე ტესტირება

შეიძლება გაკეთდეს სწრაფი ტესტები რესპირატორულ-სინციტიურ ვირუსზე და სხვა რესპირატორულ ვირუსებზე, თუმცა ბრონქოლიტის დიაგნოზის დასადგენად ეს საავალდებულო არ არის.

უკუტრანსკრიპციის პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია (RT-PCR) გამოავლენს ვირუსის ნუკლეინის მუჟას და ის ძალიან სპეციფიკური და ბევრად უფრო მგრძნობიარე ანალიზია ენზიმშეკავშირებულ იმუნოსორბენტულ ანალიზთან (ELISA) შედარებით.

ტესტის შედეგები შეგვიძლია გამოვიყენოთ ინფექციის კონტროლისთვის ჰოსპიტალურ პირობებში, თუმცა, ჯერ გაურკვეველია, აქვს თუ არა ტესტირებას დამატებითი სარგებელი, ინფექციის კონტროლის მხოლოდ რუტინულ პროფილაქტიკურ ზომებთან შედარებით.[49] [56]

ტესტირება რეკომენდებულია პალივიზუმაბით პროფილაქტიკაზე მყოფი ბავშვებისთვის, რომლებსაც ბრონქოლიტის "უცერად განვითარებული" ეპიზოდი აღენიშნებათ. თუ რესპირატორულ-სინციტიურ ვირუსი დადასტურდება, პალივიზუმაბით ყოველთვიური პროფილაქტიკა უნდა შეწყდეს, რადგან ნაკლებად მოსალოდნელია იმავე წელს იმავე ვირუსით ინფექციის განმეორება.[42]

ცალკეული პაციენტის შეფასების გარდა, ვირუსულ ტესტირებას შეუძლია რესპირატორული პათოგენების ეპიდემიოლოგიაზე წარმოდგენის შექმნა და ახალი პათოგენების იდენტიფიცირება, რომელიც შესაძლოა პოტენციური ეპიდემიის წყაროს წარმოადგენდეს.[52]

რადიოლოგიური და სხვა კვლევები

რადგან არ არსებობს ამ დაავადების რენტგენოგრაფიული პათოგნომური ნიშანი, ამ კვლევის ჩატარება მიზანშეწონილია მხოლოდ ბაქტერიულ პნევმონიაზე (მაგ. ცხელება $>40^{\circ}\text{C}$ [$>104^{\circ}\text{F}$] და ხიხინის კერები) ან სხვა გართულებებზე (მაგ. პნევმოთორაქსი) საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში.[58]

სხვა ლაბორატორიული კვლევები, როგორიცაა მაგალითად სისხლის საერთო ანალიზი ან შრატის ქიმიური ანალიზი, არ არის აუცილებელი ბრონქოლიტის დიაგნოსტიკისთვის, მაგრამ შესაძლოა საჭირო გახდეს მძიმე პაციენტების მდგომარეობის შესაფასებლად.

ანამნეზი და გასინჯვა

ძირითადი დიაგნოსტიკური ფაქტორები

რისკ-ფაქტორების არსებობა (ხშირი)

- ძირითადი რისკფაქტორებია: <3 წლამდე ასაკი, სეზონი, დღენაკლულობა ან ბრონქოპულმონალური დისპლაზია, თამბაქოს მეორად კვამლთან ექსპოზიცია, შესუსტებული სასუნთქი გზების განთავისუფლების უნარის და ფუნქციის დაქვეითება, გულის თანდაყოლილი დაავადებები.

ხველა (ხშირი)

- ადრეული სიმპტომი, რომელიც ტიპურად ძლიერდება რამდენიმე დღის განმავლობაში. ხველის ხასიათი შეიძლება იცვლებოდეს, მშრალი ხველიდან პროდუქტიულ და კრუპისთვის დამახასიათებელ ხველამდე.[48]

ტაქიპნოე (ხშირი)

- გვხვდება მძიმე დაავადების მქონე ჩვილებში. სუნთქვის მაღალი სიხშირე აპნოეს ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.[2]

მსტენავი სუნთქვა (ხშირი)

- სასუნთქი გზების ლორწოთი და ნეკროზული ნაწილაკებით ობსტრუქციის გამო, მსტენავი სუნთქვა და სველი ხიხინი ბრონქოლიტისთვის დამახასიათებელი სიმპტომია, თუმცა[48] ზოგიერთ ბავშვს შესაძლებელია იმდენად მძიმე ობსტრუქცია განუვითარდეს, რომ ვერ შეძლოს საკმარისი სიძლიერის ამოსუნთქვის გენერირება და შესაბამისად ხიხინის მოსმენა შეუძლებელი გახდეს.

რეტრაქციები, ხმაურიანი სუნთქვა და ნესტოების შებერილობა (ხშირი)

- ინფექციის პათოლოგიური ეფექტი შეიძლება გამოვლინდეს სუნთქვის გაძნელებით.[42]

სხვა დიაგნოსტიკური ფაქტორები

რინიტი (ხშირი)

- ეს და ზედა სასუნთქი გზების ინფექციის სხვა სიმპტომები, ჩვეულებრივ, რამდენიმე დღით წინ უსწრებს ბრონქოლიტს.[42]

კლინიკური გამოვლინებების მერყეობა (ხშირი)

- ბრონქოლიტის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ხშირად ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში გრძელდება.[49]

გალიზიანებადობა, შეუძლოდ ყოფნა და არასათანადო კვება (ხშირი)

- ამასთან, შეიძლება გამოვლინდეს ისეთი ზოგადი სიმპტომებიც, როგორიცაა შეუძლოდ ყოფნა, გაღიზიანება და არასათანადო კვება.

ცხელება $<40^{\circ}\text{C}$ ($<104^{\circ}\text{F}$) (ხშირი)

- უმეტესი შემთხვევებისთვის დამახასიათებელია ცხელება დაავადების პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში. როგორც წესი, ცხელება დაბალია და ჰოსპიტალიზაციის მომენტში შეიძლება აღარც იყოს გამოხატული.[48] [59]

ხიხინი (ხშირი)

- გასინჯვით ხშირად ვლინდება ხიხინი, თუმცა ყველა ჩვილს ეს ნიშანი არ აღენიშნება. ზოგიერთი კლინიკური გაიდლაინის მიხედვით, ხიხინის არსებობა დიაგნოზის დასადგენად არ არის აუცილებელი.[42]

აპნოე (იშვიათი)

- აპნოე შეიძლება რესპირატორული კუნთების გამოფიტვის შედეგი იყოს რამდენიმესაათიანი გაძნელებული სუნთქვის შემდეგ, მაგრამ ჩვეულებრივ, ის დაავადების დასაწყისშივე მოუღონებლად ვლინდება. ობსტრუქცია არ არის აპნოეს მიზეზი, მისი განვითარების მექანიზმი უცნობია. ის შეიძლება ჩვილებში დაავადების ერთადერთი გამოვლინება იყოს; ზოგიერთი კვლევის თანახმად, აპნოე ჰოსპიტალიზებული ჩვილების 20%-ს უვითარდება.[1]
- აპნოეს განვითარების რისკ ფაქტორები მოიცავს 1 თვემდე ასაკს დროულად დაბადებულ ჩვილებში, 8 კვირამდე ასაკს დღენაკულ ჩვილებში, სხეულის დაბალ წონას, სუნთქვის ძალიან მაღალ ან ძალიან დაბალ სიხშირეს და აპნოეს წინა ეპიზოდებს ანამნეზში.[1] [2]

თორაკოაბდომინური ასინქრონია (იშვიათი)

- ეს წარმოადგენს ნეკნების და მუცლის არაპარალელურ მოძრაობს ჩასუნთქვის დროს და გვხვდება ბრონქოლიტის შედეგად გამონვეული სასუნთქი გზების ობსტრუქციის მქონე ჩვილებში.[60]

რისკფაქტორები

ძლიერი

ჩვილები 3 წლამდე

- ინფექცია უმეტესად აზიანებს 3 წლამდე ასაკის ჩვილებს, ინციდენტობის პიკით 2-დან 6 თვემდე ასაკში.

გამთრის თვეები

- გამოხატულია მკაფიო სეზონურობა, რაომელიც ცხადყოფს, რომ რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი (RSV) დაავადების მთავარი ეტიოლოგიური აგენტია. ავადობის სეზონი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ტიპურად ნოემბრის დასაწყისში იწყება, პიკს აღწევს იანვარსა და თებერვალში და აპრილისთვის მთავრდება.[7] სამხრეთ ჰემისფეროზე სეზონური ეპიდემიოლოგიები ვლინდება მაისიდან სექტემბრამდე.[7]
- ეკვატორთან უფრო ახლოს მდებარე ქვეყნებში, სადაც ამინდი ტროპიკულია, დაავადება უფრო ხშირია წვიმიან სეზონზე.[32]

დღენაკულობა ან ბრონქოპულმონალური დისპლაზია

- ნაადრევი მშობიარობა მძიმე ბრონქოლიტების განვითარების აღიარებული რისკფაქტორია.[33]
- დღენაკლი ჩვილები, რომლებსაც აქვთ ფილტვის ქრონიკული დაავადება (ცნობილი ასევე, როგორც ბრონქოპულმონალური დისპლაზია), მძიმე ბრონქოლიტის განვითარების კიდევ უფრო მეტი რისკის

ქვეშ არიან. ფაქტორები რომლებიც განპირობებენ დაავადების სიმძიმეს დღენაკლებში, მოიცავს მცირე კალიბრის სასუნთქი გზების არსებობას და დედის იმუნოგლობულინით განპირობებული პასიურ იმუნიტეტის ნაკლებობას.[34] ბრონქოპულმონალური დისპლაზიის მქონე ჩვილებში შემზღუდულია სასუნთქი ალვეოლების რაოდენობა, რაც ბრონქოლოგიის დროს აძლიერებს ობსტრუქციას.[35] ბრონქოპულმონალური დისპლაზია ასევე უკავშირდება ლორწოვანი გარსის ჯირკვლების ჰიპერპლაზიას, გლუვი კუნთების ჰიპერტროფიასა და ბრტყელი ეპითელიუმის უჯრედების მეტაპლაზიას, რაც მთლიანობაში ამძიმებს ინფექციის მიმდინარეობას.

პასიური ექსპოზიცია თამბაქოს კვამლთან და ჰაერის დაბინძურება

- დედის მიერ თამბაქოს მოხმარება ორსულობის დროს იწვევს ბავშვებში დაბადებისას ჰაერის ნაკადის შემცირებას. თამბაქოს კვამლით მეორადი ექსპოზირების შემდგომი გახანგრძლივება უფრო მძიმე ბრონქოლოგიების განვითარებასთან და ჰოსპიტალიზაციის გაზრდილ რისკთან ასოცირდება.[18] [19] [20] თამბაქოს მეორადი კვამლი ამიანებს მუკოცილიარულ კლირენსს და იწვევს ბრონქების ჰიპერმგრძნობელობას. ორივე ეს ფაქტორი ხელ უწყობს დაავადების მძიმე მიმდინარეობას.
- ჰაერის დაბინძურების სხვა წყაროებთან ექსპოზიცია იწვევს რესპირატორული სიმპტომების გაძლიერებას ჩვილებსა და ბავშვებში, განსაკუთრებით ფილტვის დაავადების არსებობის ფონზე.[36] 10-მიკრონიანი აეროგენული ნაწილაკოვანი ნივთიერებების მომატებული კონცენტრაცია დაკავშირებულია რესპირატორულ-სინციტიური ვირუსის მიზეზით ჰოსპიტალიზაციის მომატებულ სიხშირესთან ჩვილებში.[21]

სასუნთქი გზების კლირენსისა და ფუნქციის დაქვეითება

- მუკოვისცილოზი (ცისტური ფიბროზი) ყველაზე ნათლად არის ასოცირებული მძიმე ბრონქოლოგიის განვითარების მაღალ რისკთან. თუმცა, რიგი კვლევებით, ნეიროკუნთოვანი დაზიანებით გამოწვეული ქრონიკული ასპირაცია და სასუნთქი გზების დაქვეითებული კლირენსი, ისევე როგორც ტრაქეომალაქია დაავადების მეტად მძიმე ფორმების რისკფაქტორებს წარმოადგენდნენ.[37] [38]
- ფილტვის პრე-მორბიდულ ფუნქციურ მდგომარეობას შეუძლია გავლენა იქონიოს ასევე ვირუსული რესპირატორული ინფექციით გამოწვეული ქვედა სასუნთქი ტრაქტის დაავადებების ინციდენტობაზე.

გულის თანდაყოლილი დაავადებები

- გულის თანდაყოლილი დაავადებები, მნიშვნელოვანი ჰემოდინამიკური დარღვევებით, ასოცირდება უფრო მძიმე ბრონქოლოგიის განვითარებასთან. ამასთან, პულმონური ჰიპერტენზია ზრდის ლეტალური გამოსავლის რისკს.[39] [40] რესპირატორულ-სინციტიური ვირუსული ინფექციის პირობებში ჩატარებული ქირურგიული ოპერაცია ასევე დაკავშირებულია მომატებულ სიკვდილობასთან.

იმუნოდეფიციტი

- პირველადი ან მეორადი იმუნოდეფიციტის მქონე ბავშვები მძიმე რესპირატორულ-სინციტიური ვირუსის ინფექციის განვითარების რისკის ქვეშ იმყოფებიან და მათში ვირუსისგან განთავისუფლების პროცესი გახანგრძლივებულია. ამ პოპულაციაში რესპირატორულ-სინციტიური ვირუსთან დაკავშირებული ქვედა სასუნთქი გზების დაავადებები ასევე შეიძლება უფრო დიდი ასაკის ბავშვებშიც განვითარდეს. იმუნოკომპრომიტირებული ბავშვები რესპირატორულ-სინციტიური ვირუსის ინფექციის ნოზოკომურად შეძენის რისკის ქვეშ იმყოფებიან.[41]

კვლევები

1-ლად შესაკვეთი ტესტები

ტესტი	შედეგი
პულსოქსიმეტრიით • არინვაზიური მეთოდი ოქსიჰემოგლობინის სატურაციის გასაზომად და ჰიპოქსემიის გამოსავლენად. ის საშუალებას გვაძლევს შევადგასოთ დაავადების სიმძიმე, მაგრამ მონაცემები, მისი, როგორც გამოსავლის პრედიქტორად გამოყენების შესაძლებლობაზე, წინააღმდეგობრივია.[42] [61] • პულსოქსიმეტრია არ არის რეკომენდებული დაავადების მსუბუქი ფორმის მქონე ამბულატორიულ პაციენტებში.[51] • ზოგადად, ვირუსული ბრონქოლოგიის მქონე ბავშვებში ჰიპოქსემია უფრო მეტად არის გამოხატული, ვიდრე ეს გულმკერდის რენტგენოგრაფიით შეიძლება ვივარაუდოთ. • სხვადასხვა გაიდლაინით რეკომენდებულია ყველაზე დაბალი, დასაშვები ოქსიჰემოგლობინის სატურაციის განსხვავებული ლიმიტები. ამერიკის პედიატრიის აკადემიის რეკომენდაციით, ჰიპოქსემიურ ბავშვებს დამატებითი ჟანგბადი ისე უნდა მიეცეთ, რომ ოქსიჰემოგლობინის სატურაცია (პერიფერიული ჟანგბადის სატურაცია, Sp` O#) შენარჩუნებული იყოს სულ მცირე 90%-იან მაჩვენებელზე, რომელზეც O#-ის პარციალური წნევის მცირე დანევაც კი ასოცირდება SpO#-ის მკვეთრ ცვლილებებთან.[42] [54] • ბრონქოლოგიის მქონე ჩვილებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჟანგბადით გაჯერება 90% და მეტი მაჩვენებლის შემთხვევაში, ისეთივე უსაფრთხო და კლინიკურად ეფექტურია როგორც 94% და უფრო მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში.[55] • არ ჩატარებულა წერვული სისტემის განვითარების გრძელვადიანი კვლევები, რომლებიც დაადგენდა ოქსიჰემოგლობინით სატურაციის დაბალი მაჩვენებლების უსაფრთხოებას. შედეგად, ზოგიერთი გაიდლაინის მიხედვით რეკომენდებულია დამატებითი ჟანგბადის გამოყენება, თუ ოქსიჰემოგლობინის სატურაცია დაეცემა 92%-ზე დაბლა.[56] • ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში, რომელთაც არ აღენიშნებოთ ჰიპოქსემია, პულს-ოქსიმეტრის წყვეტილად გამოყენება, მუდმივ მონიტორინგთან შედარებით, არ ცვლის მკურნალობის ესკალაციის და ოქსიგენოთერაპიის ხანგრძლივობის მაჩვენებლებს.[53]	ჰიპოქსემია

სხვა გასათვალისწინებელი ტესტები

ტესტი	შედეგი
ანტიგენის სწრაფი აღმოჩენა ენზიმ-შეკავშირებული იმუნოსორბენტული ანალიზით (ELISA) • ხელმისაწვდომია კომერციული ELISA-ს ტესტები რესპირატორულ-სინციტიური ვირუსისა (RSV) და გრიპისთვის, მაგრამ ისინი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებაში დაავადების პრევალენტობა მაღალია. • ანტიგენის სწრაფი დადებითი ტესტი ჩვეულებრივ ადასტურებს ბრონქოლიტის გამომწვევ ვირუსულ აგენტს, მაგრამ უარყოფითი ტესტი არ გამოირიცხავს ვირუსის არსებობას. ამიტომ, ანტიგენის სწრაფი ტესტი არ არის აუცილებელი ბრონქოლიტის დიაგნოსტიკისთვის. თუმცა, სპეციფიკური აგენტის იდენტიფიცირება შეგვიძლია გამოვიყენოთ ინფექციის კონტროლისთვის ჰოსპიტალურ პირობებში, მაგრამ, ჯერ გაურკვეველია, აქვს თუ არა ტესტირებას დამატებითი სარგებელი, ინფექციის კონტროლის მხოლოდ რუტინულ პროფილაქტიკურ ზომებთან შედარებით.[49] [56] ანტიგენის დადებითი ტესტი ამცირებს ფეხბილურ ჩვილებში შემდგომი კვლევების აუცილებლობას და ანტიბიოტიკების გამოყენებას. • ტესტირება რეკომენდებულია პალივიზუმაბით პროფილაქტიკაზე მყოფი ბავშვებისთვის, რომლებსაც ბრონქოლიტის "გამრღვევი" ეპიზოდი აღენიშნებათ. თუ რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი დადასტურდება, პალივიზუმაბით ყოველთვიური პროფილაქტიკა უნდა შეწყდეს, რადგან ნაკლებად მოსალოდნელია იმავე წელს იმავე ვირუსით ინფექციის განმეორება.[42] • ტესტირებით შესაძლოა მივიღოთ ისეთი ეპიდემიოლოგიური მონაცემები, რომელიც სცდება ერთ პაციენტზე ზრუნვას.[52]	ვირუსის ანტიგენი პოზიტიურია
გულმკერდის რენტგენი • არ არის აუცილებელი კლინიკური დაიგნოზის დასმისთვის, მაგრამ შეიძლება ჩატარდეს მძიმე ბრონქოლიტის დროს ან თუ ბრონქოლიტიანი ბავშვის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება მოსალოდნელ ვადაში. • ბრონქოლიტის დროს რადიოგრაფიული ცვლილებები ბაქტერიული პნევმონიის მსგავსი შეიძლება იყოს, ამიტომ გულმკერდის რენტგენოგრაფია არ უნდა წარმოადგენდეს ბაქტერიული პნევმონიის დიაგნოსტიკის ერთადერთ კრიტერიუმს.[42] [54]	ჰიპერაერაცია (გადაბერვა), ინტერსტინალური ანთება და ატელექტაზები
უკუტრანსკრიპტაზის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (RT-PCR) • უკუტრანსკრიპტაზის პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია არის უფრო მგრძნობიარე მეთოდი, ვიდრე ენზიმ-შეკავშირებული იმუნოსორბენტული ანალიზი. • გარდა ამისა, დადებითი ტესტი არა-RSV -ს ნუკლეინის მჟავაზე შეიძლება წინა დაავადების შემდეგ ვირუსის პროლანგირებულ გამოყოფას ასახავდეს.	ვირუსის ნუკლეინის მჟავის განსაზღვრა

ახალი ტესტები

ტესტი	შედეგი
ფილტვის ფუნქციური სინჯები ჩვილებში • ფილტვის ფუნქციური სინჯების (IPFT) უმეტესობა ჩვილებში დიდ ძალისხმევასა და სედატიური საშუალებების გამოყენებას მოითხოვს, რის გამოც მათი კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენება მოუხერხებელია.[62] • რესპირატორული პლეტისმოგრაფია არის არაინვაზიური კვლევის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რესპირატორული ფუნქცია სედაციის გარეშე.[63]	შეიძლება გამოავლინოს ჰაერის ნაკადის ობსტრუქცია, რომელიც კორელაციაშია დაავადების სიმძიმესთან; ზოგ შემთხვევაში სუნთქვა უმჯობესდება ბრონქოდილატატორის ინჰალაციის შემდეგ

დიფერენციული დიაგნოზები

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
ბაქტერიული პნევმონია	• ბაქტერიული პნევმონია ამ ასაკობრივ ჯგუფში ბევრად უფრო იშვიათია, ვიდრე ბრონქოლოგია. • პნევმონიის მქონე ჩვილებს, ბრონქოლოგიით დაავადებულებთან შედარებით, ჩვეულებრივ, უფრო მაღალი ცხელება ($\geq 40^{\circ}\text{C}$) აღენიშნება. • მსტვინავი სუნთქვა პნევმონიისთვის არ არის დამახასიათებელი.	• სისხლის საერთო ანალიზით ლეიკოციტოზი და ნეიტროფილია ვლინდება. • რენტგენოლოგიურად გამოკვეთილი კეროვანი ინფილტრაცია ზრდის პნევმონიის დიაგნოზის ალბათობას.
ქლამიდიური პნევმონია	• დედას შესაძლოა აღენიშნებოდეს ვაგინალური ქლამიდიური ინფექციის ანამნეზი. • ქლამიდიური პნევმონიის მქონე ჩვილების თითქმის ნახევარს, ანამნეზში აღენიშნებათ ნეონატალური კონიუნქტივითი. • კლინიკური მიმდინარეობა, ჩვეულებრივ, ქვემწვავეა და არ არის ასოცირებული ზედა სასუნთქი გზების ინფექციასთან. • როგორც წესი, პაციენტები აფებრილურნი არიან. დამახასიათებელია "სტაკატოს" მსგავსი ხველა. ქლამიდიური პნევმონიისთვის უფრო მეტად ხიხინია დამახასიათებელი, მსტვინავ სუნთქვასთან შედარებით.	• ეოზინოფილია ქლამიდიური პნევმონიისთვის არის დამახასიათებელი და არ გვხვდება ბრონქოლიტების დროს. • დიაგნოზის დადასტურება შესაძლებელია ნაზოფარინგიალური სეკრეტის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით ან ანტიგენის დეტექციით.
ცისტური ფიბროზი (CF)	• CF როგორც წესი მჯღავდება პანკრეასის უკმარისობისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით, როგორიცაა სტეატორეა, განვითარების შეფერხება და ცხიმში ხსნადი ვიტამინების დეფიციტი. • ჩვეულებრივ, დაავადებულ ბავშვებს აქვთ CF-ის ოჯახური ანამნეზი. • CF-ს ფილტვის დაავადებისთვის	• CF-ით დაავადებულ თითქმის ყველა ბავშვში, რაოდენობრივი პილოკარპინის იონოფორების ტესტით ოფლში ვლინდება ქლორიდების მომატებული რაოდენობა ($>60 \text{ mmol/L}$)

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
	დამახასიათებელია ქრონიკული ხველა. • დაავადება თანდათანობით იწყება, გამოკვეთილი სიმპტომების გარეშე და არ ახასიათებს ზედა სასუნთქი გზების დაზიანების ნიშნები.	
ლარინგოტრაქეობრონქიტი (კრუპი)	• ზედა სასუნთქი გზების ვირუსით, ხშირად პარაგრძის ვირუსით, გამონეწეული ინფექცია. • ახასიათებს ცხელება, ისპირატორული სტრიდორი, ხრინწიანი ხმა და მყვინთავი ხველა. • ხშირად, სიმპტომები ღამით მძიმდება	• დიაგნოზი ძირითადად კლინიკურად ისმება. • კისრის ანტეროპოსტერიორულ (AP) რენტგენოგრაფიით შეიძლება გამოჩნდეს შევიწროვება მბგერავი იოგის ქვემოთ, თუმცა ეს კვლევა იშვიათად ინიშნება.
ასთმა	• მსტვინავი ხიხინის განმეორებითი ეპიზოდების მქონე ჩვილებს ხშირად აქვთ ატოპიური დერმატიტი, კვებისმიერი ალერგიის ანამნეზი, პერიფერიული ეოზინოფილია და მშობელი ასთმით. შეუძლებელია ყოველთვის გადარჩიოთ, არის თუ არა მსტვინავი სუნთქვის პირველი ეპიზოდი ბრონქოლოგიის თუ საბოლოო ასთმის გამოვლინება.	• სისხლის საერთო ანალიზით ეოზინოფილიის სურათი უფრო დამახასიათებელია ასთმისთვის. • დიაგნოზი ჩვეულებრივ კლინიკურია და ეფუძნება ატოპიის ანამნეზს და რეაქციას ბრონქოდილატაციურ პრეპარატებზე.

კრიტერიუმები

მძიმე ბრონქოლოგი

მძიმე მიმდინარეობის დროს, დამახასიათებელია სუნთქვის უკმარისობის ნიშნები და სიმპტომები. ესენია:

- მძიმე ჰიპოქსემია
- გაძლიერებული სუნთქვითი დატვირთვა
- საკვების პერორალურად მიღების უუნარობა, რომელიც განპირობებულია სუნთქვითი დარღვევით.

მიდგომა

თერაპიის მთავარი მიზანი შეცვლილი წყლის ბალანსისა და ჟანგბადის ცვლის კორექტირებაა [42] [54] [56] ამიტომ, მკურნალობა პირველ რიგში დამხმარე ხასიათს ატარებს.

ბავშვებში ბრონქოლოგიის მართვა უმეტეს შემთხვევაში ამბულატორიულად არის შესაძლებელი. ჩვენებები ჰოსპიტალიზაციისთვის შემდეგია: პერსისტენტულ ჰიპოქსემია, მძიმე ტაქიპნოე, რომელიც განაპირობებს პერორალური კვების ან ჰიდრატაციას უუნარობას, აპნოე და მოსალოდნელი სუნთქვის უკმარისობის განვითარების საშიშროება.

დამატებითი ჟანგბადი

სტანდარტული ოქსიგენოთერაპია, რომელიც ტარდება ცხვირის კანულის თავის სპეციალური ყუთის მეშვეობით, არის პირველი რიგის თერაპია.

ამერიკის პედიატრიის აკადემიის რეკომენდაციით, ჰიპოქსემიურ ბავშვებს დამატებითი ჟანგბადი ისე უნდა მიეცეთ, რომ ოქსიჰემოგლობინის სატურაცია (პერიფერიული ჟანგბადის სატურაცია, Sp`O#) შენარჩუნებული იყოს სულ მცირე 90%-იან მაჩვენებელზე, რომელზეც O#-ის პარციალური წნევის მცირე დანევაც კი ასოცირდება SpO#-ის მკვეთრ ცვლილებებთან. [42] [54]

ერთ-ერთი რანდომიზებული კონტროლირებული კვლევის თანახმად, SpO2-ის სამიზნე მაჩვენებლად 90%-ის დადგენა იყო ისეთივე უსაფრთხო და ეფექტური, როგორც 94%-იანი სამიზნე მაჩვენებელი ვირუსული ბრონქოლოგიით ჰოსპიტალიზებულ ჩვილებში. მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლენილა ორ ჯგუფს შორის სიმპტომების კუპირების დროის, ადექვატური კვების განახლების, რეჰოსპიტალიზაციის ან არასასურველი მოვლენების კუთხით. SpO2-ის სამიზნე მაჩვენებლად 90%-ის შემთხვევაში ჩვილებს სჭირდებოდათ დამატებითი ჟანგბადის უფრო ხანმოკლე კურსი და ექვემდებარებოდნენ უფრო დროულ განერას. [55]

არ ჩატარებულა ნერვული სისტემის განვითარების რაიმე გრძელვადიანი კვლევა, რომელიც შეადარებდა SpO#-ს უფრო დაბალ და უფრო მაღალ (>94%) სამიზნე მაჩვენებლებს. ცხელებამ და აციდოზმა შესაძლებელია ოქსიჰემოგლობინის დესატურაციის მრუდი გადახაროს მარჯვნივ, ამიტომ ამ მდგომარეობების დროს მიზანშეწონილია SpO#-ის სამიზნე მაჩვენებლის გაზრდა, მაგ. ზოგიერთი გაიდლაინების მიხედვით >92%-მდე. [56] [57]

სუნთქვის დაქვეითებული ფუნქციის სხვა ნიშნები, როგორიცაა სუნთქვის გაძნელება ან რეტრაქციები, ის ფაქტორებია, რომლებიც გასათვალისწინებელია დამატებითი ჟანგბადის მიწოდების შესახებ გადწყვეტილების მიღებისას.

გულის ან ფილტვის ფონური დაავადების მქონე ჩვილებს შეიძლება ოქსიგენაციის საბაზისო პათოლოგია აღენიშნებოდეთ. ამ პაციენტებში დამატებითი O#-ის გამოყენების ზღურბლი შეიძლება უფრო მაღალი იყოს.

არა-ინვაზიური ვენტილაცია

მაღალი ნაკადის ნაზალური კანულის თერაპია აწვდის დატენიანებული, გამთბარი ჰაერისა და ჟანგბადის ნარევის ცხვირის კანულაში მაღალი ნაკადით. [64] იგი არაინვაზიური ვენტილაციის უსაფრთხო და კარგად ატანადი დამხმარე საშუალებაა, რაც აადვილებს პაციენტის სუნთქვას.

მეტა-ანალიზმა აჩვენა, რომ მაღალი ნაკადის ნაზალური კანულა უსაფრთხოა ბრონქოლოგიის მქონე ჩვილებში საწყისი თერაპიის სახით, მაგრამ არ აღემატება სტანდარტულ ოქსიგენოთერაპიას ან სასუნთქი გზების მუდმივ დადებით ნაზალურ წნევას შემდეგი ფაქტორების თვალსაზრისით: კლინიკაში

დარჩენის პერიოდის შემცირება, დამატებითი ჟანგბადის გამოყენების დროის შემცირება, ინტენსიურ განყოფილებაში მოთავსების პრევენცია ან ინტუბაციის პრევენცია.[64] მაღალი ნაკადის ნაზალური კანულა აღმატებოდა სტანდარტულ ოქსიგენოთერაპიას, მაგრამ ჩამოუვარდებოდა სასუნთქი გზების მუდმივ დადებით ნაზალურ წნევას მკურნალობის წარუმატებლობის პრევენციის კუთხით (მკურნალობის გაძლიერების საჭიროება).[64]

მაღალი ნაკადის ნაზალური კანულა გამოიყენება, როგორც სათადარიგო თერაპია ჰიპოქსემიურ ჩვილებში, რომლებიც არ პასუხობენ სტანდარტულ ოქსიგენოთერაპიას.[65] [66] ერთ-ერთმა რანდომიზებულმა კონტროლირებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ოქსიგენოთერაპიაზე რეაქციის არმქონე ბავშვთა 61% პასუხობს მაღალი ნაკადის ნაზალური კანულით თერაპიას, რაც უზრუნველყოფს ინტენსიურ განყოფილებაში მოთავსების საჭიროების პრევენციას.[67]

მაღალი ნაკადის ნაზალური კანულა არ გამოიყენება ჰორმოქსემიური რესპირაციული დისტრესის მქონე ჩვილებში, ხოლო მისი როლი ჰიპოქსემიის არმქონე ჩვილებში უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ რანდომიზებული კონტროლირებული კვლევებით.[68]

სასუნთქი გზების მუდმივი დადებითი წნევა უზრუნველყოფს პერიფერიული სასუნთქი გზების კოლაფსის პრევენციას ამოსუნთქვის დროს და იძლევა ფილტვების ზედმეტად გაშლილი რეგიონების დეფლაციის საშუალებას. ნაზალური სასუნთქი გზების მუდმივი დადებითი წნევა უნდა გავითვალისწინოთ დაავადების მძიმე ფორმის მქონე ბავშვებში, განსაკუთრებით, თუ ისინი არ პასუხობენ მაღალი ნაკადის ნაზალური კანულით თერაპიას ან აღნიშნებათ პოტენციური რესპირატორული უკმარისობის სიმპტომები.[56] [57] შესაძლო რესპირატორული უკმარისობის სიმპტომებია: გამოფიტულობა (აპათიურობა ან დაქვეითებული რესპირაციული ძალისხმევა), განმეორებითი აპნოე, დამატებითი ჟანგბადის გამოყენების მიუხედავად ჟანგბადით გაჯერების სათანადო დონის მიღწევის წარუმატებლობა.[57] არასაკმარისია მტკიცებულებები იმის დასადგენად, ამცირებს თუ არა სასუნთქი გზების მუდმივი დადებითი წნევა შემდგომი ინტუბაციის და მექანიკური ვენტილაციის საჭიროებას; აუცილებელია უფრო მასშტაბური შესაბამისი სიმძლავრის მქონე კვლევები.[68]

ინვაზიური ვენტილაცია

ინტუბაცია და მექანიკური ვენტილაცია შესაძლოა საჭირო გახდეს ბავშვებისთვის, რომლებიც დამატებითი ჟანგბადის და არაინვაზიური ვენტილაციის მიუხედავად რჩებიან არასტაბილურ მდგომარეობაში.

ერთ-ერთმა სისტემურმა მიმოხილვამ, რომელიც მოიცავდა სასუნთქი გზების მუდმივ დადებით წნევას ან სასუნთქი გზების ორდონიან დადებით წნევას 2 წლამდე ასაკის ვირუსული ბრონქოლოგიით დაავადებულ ბავშვებში, გამოავლინა არაინვაზიური ვენტილაციის წარუმატებლობის პროგნოზული ფაქტორები, როგორებიცაა მუდმივი აპნოე, მუდმივად მომატებული ნახშიროჟანგის პარციალური წნევა თერაპიიდან 2 საათის შემდეგ, მცირეწლოვანი ასაკი და დაბალი წონა, დაბალი გულისცემის სიხშირე სანყის ეტაპზე და გულისცემის სიხშირის დაქვეითება თერაპიის დაწყების შემდეგ.[69]

ჰიდრატაცია

ბრონქოლოგიის მქონე ჩვილებს შესაძლოა აღენიშნებოდეთ კვების გაძნელება ტაქიპნოეს და ნაზალური სეკრეციების გამო.[42] სუნთქვის გაძნელებამ შესაძლოა გაზარდოს ასპირაციის რისკი.[70] ჰოსპიტალიზებული ჩვილების დაახლოებით 30%-ს ესაჭიროება ინტრავენური ან ნაზოგასტრალური კვება.

ერთ-ერთი რანდომიზებული კონტროლირებული კვლევის თანახმად, ინტრავენური ჰიდრატაცია და ნაზოგასტრალური ჰიდრატაცია შესაფერისია ბრონქოლოგიის მქონე ჩვილებისთვის. არ გამოვლენილა

მნიშვნელოვანი განსხვავება ჯგუფებს შორის ინტენსიურ განყოფილებაში ჰოსპიტალიზაციის, ვენტილაციური მხარდაჭერის და არასასურველი მოვლენების კუთხით. ნაზოგასტრული მილის ჩადგმას შესაძლოა ჰქონდეს წარმატების უფრო მაღალი ალბათობა და საჭიროებდეს ნაკლებ მცდელობას, ვიდრე ინტრავენური მეთოდი.[71]

რომელ მეთოდსაც არ უნდა ვიყენებდეთ, ჰიდრატაცია სიფრთხილეს მოითხოვს, რათა თავიდან ავიცილოთ სითხის გადაჭარბებული მიღება, რაც ხელს უწყობს სასუნთქი გზების ობსტრუქციის გაძლიერებას. თუ საჭიროა ინტრავენური თერაპია, უნდა გამოიყენებოდეს იზოტონური ხსნარები, ვინაიდან ჰიპოტონური ხსნარების გამოყენებამ შესაძლოა გაზარდოს ჰიპონატრემიის რისკი ბრონქოლოგიის მქონე ჩვილებში.[72] არასაკმარისია მონაცემები იმის შესახებ, საკვების მიღების რომელი გაიდლაინი გამოვიყენოთ ბრონქოლოგიით დაავადებული ჩვილებისთვის. ზოგიერთი კვლევის თანახმად, ჩვილების ნაწილი ჰიპერმეტაბოლურია, ხოლო ნაწილი ჰიპომეტაბოლური.[72]

რიბავირინი

რესპირატორულ-სინციტიური ვირუსული ბრონქოლოგიის და დაავადების მძიმე ფორმის სხვა რისკფაქტორების (როგორიცაა იმუნოდეფიციტი ან ფილტვის ქრონიკული დაავადება) მქონე ბავშვებთან, დამხმარე თერაპიასთან ერთად, შესაძლებელია რიბავირინის დანიშვნა გახდეს საჭირო.[73] რუტინული გამოყენება რეკომენდებული არაა რის.

არ გამოვლენილა რაიმე გრძელვადიანი ეფექტი ფილტვის ფუნქციაზე ან განმეორებითი მსტვინავი სუნთქვის სიხშირეზე რიბავირინის მიმღებ პაციენტებში. მაღალი რისკის პაციენტებში ჰოსპიტალიზაციის ვადაზე და მართვითი სუნთქვის ხანგრძლივობის შემცირებაზე მისი გავლენის შესაფასებლად საჭიროა დიდი რანდომიზებული კონტროლირებული კვლევების ჩატარება.

მკურნალობის საშუალებები, რომლებზეც მტკიცებულებები შეზღუდულია ან არ არსებობს

კორტიკოსტეროიდები

სისტემურ და საინჰალაციო კორტიკოსტეროიდებს არ გააჩნიათ ეფექტი ჰოსპიტალიზაციის ალბათობასა და ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობაზე.[74] გაიდლაინებით არ არის რეკომენდებული მათი რუტინული გამოყენება ბრონქოლოგიის მქონე ბავშვებში.[42] [56] [57]

თუმცა, სისტემური კორტიკოსტეროიდებით თერაპია, ზოგჯერ, ინიშნება ასთმის რისკფაქტორების მქონე ბავშვებში. მსტვინავი სუნთქვის ანამნეზის გარეშე, თუმცა ასთმის სხვა რისკფაქტორების მქონე (ეგზემა ან ასთმის ოჯახური ანამნეზი პირველი რიგის ნათესავში) ბრონქოლოგიით დაავადებული ბავშვების ერთ-ერთი პლაცებო-კონტროლირებული, რანდომიზებული კვლევით აღმოჩნდა, რომ დექსამეტაზონით ნამკურნალებ ბავშვებში მცირდება კლინიკაში დაყოვნების ხანგრძლივობა.[75] შემდგომმა რეტროსპექტულმა ობსერვაციულმა კვლევამ დაადგინა, რომ კორტიკოსტეროიდები არ იყო დაკავშირებული უკეთეს გამოსავალთან ბრონქოლოგიის მქონე პაციენტებში, რომლებიც ასთმის გამო ჰოსპიტალიზებულნი იყვნენ.[76]

ბრონქოდილატორები

ბრონქოდილატატორები არ არის ეფექტური ბრონქოლოგიის სამკურნალოდ, გაიდლაინებით მათი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.[42] [56] [57] [77] მეტა-ანალიზის თანახმად, არ გამოვლინდა ბრონქოდილატატორების ეფექტი ჟანგბადით სატურაციაზე, ჰოსპიტალიზაციაზე ან ავადმყოფობის ხანგრძლივობაზე.[77]

ანტიბიოტიკები

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ხშირად უტარებენ ანტიბიოტიკოთერაპიას, კვლევები მოწმობს, რომ ბაქტერიული ინფექციის გავრცელება ბრონქოლიტის დროს დაბალია და რომ ანტიბაქტერიულ მკურნალობას არ აქვს გავლენა დაავადების გამოსავალზე.[78] [79] [80] გაიდლაინებით ასევე არ არის რეკომენდებული ანტიბიოტიკების გამოყენება ბრონქოლიტის მქონე ბავშვებში.[42] [56] [57]

შარდის კულტურები შეიძლება მიღებულ იქნეს ბრონქოლიტით დაავადებული ბავშვებისგან, განსაკუთრებით ფეხბრტყილი სიმპტომების დროს, და დადებითი შარდის კულტურამ შეიძლება გამოიწვიოს ანტიბიოტიკების დანიშვნა. თუმცა, როდესაც შარდის პათოლოგიური ანალიზი და დადებითი შარდის კულტურა გამოიყენება საშარდე გზების ინფექციის (UTI) დიაგნოსტიკისთვის, ბრონქოლიტის მქონე ფეხბრტყილ ჩვილებში საშარდე გზების ინფექციის პრევალენტობა მხოლოდ 0.8%-ია.[81] საშარდე გზების ინფექციის მკურნალობა არ უნდა დაიწყოს მხოლოდ დადებითი შარდის კულტურის ჩვენებით.

ანტიბიოტიკოთერაპია შეიძლება სწორი იყოს ბრონქოლიტის მქონე ბავშვებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ინტუბაციას და მექანიკურ ვენტილაციას რესპირატორული უკმარისობის გამო.[42]

ჰიპერტონული ფიზიოლოგიური ხსნარი

ითვლება, რომ ჰიპერტონული ხსნარით ინჰალაცია შესწავლული ლორწოს გათხიერებისა და სასუნთქი გზების კედლების შეშუპების შემცირების გზით აუმჯობესებს მუკოცილიარულ კლირენსს. მცირე რაოდენობის კვლევები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ეს ამცირებს ჰოსპიტალიზაციის რისკს და კლინიკაში დაყოვნების ხანგრძლივობას.[82] თუმცა, სხვა კვლევებმა აჩვენა შერეული შედეგები, ხოლო ბოლო მეტა-ანალიზმა ნაკლები ეფექტი გამოავლინა.[83] [84] [85]

ნებულაიზირებული დეზოქსირიბონუკლეაზა

ლიმიტირებული მონაცემების საფუძველზე, დეზოქსირიბონუკლეაზას ინჰალაცია არ აუმჯობესებს კლინიკურ გამოსავალს და მკურნალობის ეს მეთოდი დღეისთვის არ არის რეკომენდებული.[86]

საინჰალაციო ადრენალინი (ეპინეფრინი)

ინჰალაციურმა ადრენალინმა შეიძლება გააუმჯობესოს ბრონქოლიტის მქონე ამბულატორიული პაციენტების მოკლევადიანი გამოსავალი, როგორცაა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში გადასვლის მაჩვენებელი,[87] [88] [89] თუმცა, ამ სფეროში საჭიროა კვლევების გაგრძელება, დღეისთვის კი საინჰალაციო ადრენალინის რუტინული გამოყენება არ არის რეკომენდებული.[42] [54] [56] სტაციონარში, საინჰალაციო ადრენალინს არ აქვს უპირატესობა პლაცებოსთან შედარებით.[87] [Evidence B]

ფიზიოთერაპია

იმისთვის რომ გააუმჯობესონ სეკრეტის გამოყოფა და შეამსუბუქონ სუნთქვა, ჩვილებში ხშირად გამოიყენება გულმკერდის ფიზიოთერაპია. მაგრამ, კვლევებმა აჩვენა, რომ სტანდარტული მეთოდები (ვიბრაცია, პერკუსია და პოსტურალური დრენაჟი), ისევე როგორც სხვა სახის ტექნიკა (მათ შორის ნელი სწრაფი პასიური და დაჩქარებული ექსპირატორული ტექნიკა) არ ამართლებს ამ მიზანს.[90] [91] ჰეტეროგენულობა როგორც სასუნთქი გზების კლირენსის ტექნიკაში, ასევე მათი ეფექტების შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდებში ზღუდავს მეტა-ანალიზების ინტერპრეტაციის საშუალებას.[92] გაიდლაინები არ გვირჩევენ ბრონქოლიტების მართვის დროს გულმკერდის ფიზიოთერაპიის რუტინულ გამოყენებას.[42] [54] [56]

პალივიზმებით პროფილაქტიკა

